

შპს ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდების
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის.
(მსს ფასს)

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ამონაგები	9
4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	10
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
6. სხვა საოპერაციო ხარჯები	10
7. მოგების გადასახადი	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11
10. საგადასახადო აქტივები	12
11. სესხები და კრედიტები	12
12. საწესდებო კაპიტალი	13
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები	3	887,436	51,547
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(762,561)	(32,179)
საერთო მოგება		124,875	19,368
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(250,005)	(389,711)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		62,518	(389,711)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(46,952)	(16,521)
საოპერაციო ზარალი		(109,564)	(424,414)
ფინანსური შემოსავალი		1,729	1,402
ფინანსური ხარჯი		(40,405)	(19,852)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(38,676)	(18,450)
ზარალი დაბეგვრამდე		(148,240)	(442,864)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	(12,386)
მიმდინარე წლის ზარალი		(148,240)	(455,250)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		396,840	922,277
დივიდენდები	12	-	(70,187)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(248,600)	396,840

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	57,551	278,984
საგადასახადო აქტივები	10	28,360	28,062
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		3,351	1,892
გადახდილი ავანსები		63,421	118,262
		152,683	427,200
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	911,570	903,249
		911,570	903,249
სულ აქტივები		1,064,253	1,330,449
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		(342,529)	(351,830)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(10,810)	(11,223)
მოკლევადიანი სესხები	11	(63,636)	(17,910)
		(416,975)	(380,973)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(396,873)	(528,757)
		(396,873)	(528,757)
სულ ვალდებულებები		(813,848)	(909,730)
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	(1,805)	(23,879)
გაუნაწილებელი მოგება		(248,600)	(396,840)
		(250,405)	(420,719)
სულ კაპიტალი		(250,405)	(420,719)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(1,064,253)	(1,330,449)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(148,240)	(455,250)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		24,491	30,480
საპროცენტო შემოსავალი		(1,729)	(1,402)
საპროცენტო ხარჯი		40,405	15,840
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ხარჯები)		(62,518)	37,550
		(147,591)	(372,782)
<i>კორექტირებები:</i>			
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(5,265)	60,820
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში		(298)	329,962
კლება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში		54,841	(23,193)
ზრდა/(კლება) გადავადებულ შემოსავალში		(9,301)	336,702
კლება მარაგებში		-	280
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(870)	626
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(108,484)	332,415
მიღებული პროცენტი		1,729	1,402
გადახდილი პროცენტი		(40,405)	(15,840)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(147,160)	317,977
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(32,811)	(320,367)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(32,811)	(320,367)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა		(16,916)	(9,203)
კაპიტალის შემცირება		(22,074)	-
გადახდილი დივიდენდები	12	-	(70,187)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(38,990)	(79,390)
წმინდა ზრდა ფულში და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებში		(218,961)	(81,780)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ხარჯები), ფულზე და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებზე		(2,472)	85,793
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის დასაწყისში		278,984	274,891
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის ბოლოს	9	57,551	278,984

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“ დაფუძნდა 2006 წლის 19 ოქტომბერს და მას შემდეგ ეწევა უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას და მათთვის ტურისტული პაკეტების მიწოდებას. კომპანიის გაყიდვების არეალი უცხოური ბაზრებია. მომსახურების გაწევის არეალი საქართველოა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, წინამძღვრიშვილის №87. მისი რეგისტრაციის ნომერია (საიდენტიფიკაციო კოდია) 202355584. კომპანიის 100%-იანი მფლობელი და დირექტორი არის მანანა ცირაშვილი, პირადი ნომრით 01030004200.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

მიუხედავად COVID-19-ის სიტუაციისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს.

2021 და 2020 წელს, კომპანიის შემოსავლის 98%-ს წარმოადგენდა ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურ-პაკეტების მიწოდება. 2020 წლის პანდემიის ფაქტორმა პირდაპირ იმოქმედა კომპანიის საქმიანობაზე. ჩაიკეტა საზღვრები და შეუძლებელი გახდა ტურისტების შემოყვანა, რამაც გამოიწვია კომპანიის შემოსავლის წყაროს დაბლოკვა. კომპანია იძულებული გახდა თანამშრომელთა ნაწილი გაეთავისუფლებინა სამსახურიდან, ნაწილი - უხელფასო შვებულებაში გაეშვა და დარჩენილი თანამშრომლები დისტანციურ მუშაობაზე გადაეყვანა. კომპანიამ შეცვალა ოფისი, შეამცირა ყოველთვიური ხარჯი (საიჯარო ქირა) და აგრეთვე შეამცირა ხელფასები.

კომპანიამ ისარგებლა ბანკის ექსტენიანი საშეღავათო პერიოდით და ასევე მოახდინა სესხის ხელშეკრულების კორექტირება. კომპანიამ აგრეთვე ისარგებლა სახელმწიფოს მიერ საშემოსავლო გადასახადებზე დაწესებული შეღავათით, რითიც შეამცირა ხელფასის ხარჯი. შენელდა ასევე სასტუმროს მშენებლობა სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონ სოფელ მუხურში.

2022 წელს კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას, შეეცდება გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა, დააბრუნოს ძველი თანამშრომლები, შეინარჩუნოს ძველი კლიენტები და მოიზიდოს ახალი. მიზანი იქნება პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევა, ამიტომაც კომპანია სასტუმროს მშენებლობას დროებით შეაჩერებს და ორიენტირდება მის ძირითად საოპერაციო საქმიანობაზე.

(a) ამონაგების აღიარება

შემოსავლის 98%-ის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის 3 ქვეპუნქტის თანახმად, ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება ჩათვლის უფლებით განთავსიუფლებულია დღგ-საგან. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად, ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში (გადავადებულ შემოსავალში) აღირიცხება. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

(b) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება იყოფა ორ ნაწილად: გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი და არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯზე დარიცხული მოგების გადასახადი.

(c) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადაა 5 წელი.

(d) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

(f) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება. მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(g) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება.

(h) სესხები და კრედიტები

კომპანია აღრიცხავს მის სასესხო ვალდებულებებს ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

(i) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

(j) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება ეროვნულ ვალუტაში, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადასაცემელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ამონაგები

ლარი	2021	2020
სერვისი არარეზიდენტი ტურისტებისთვის	870,321	45,436
სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის	17,115	6,111
სულ ამონაგები	887,436	51,547

შემოსავალი არარეზიდენტი ტურისტებისთვის გაწეული მომსახურებიდან საქართველოს კანონმდებლობით განთავსუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ). სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის ჩვეულებრივ იბეგრება დღგ-ით.

4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2021	2020
გიდების და მძღოლების შრომის ანაზღაურება	100,014	-
მიკრო მეწარმეების შრომის ანაზღაურება	18,901	5,961
სასტუმროს ხარჯები	388,147	18,715
რესტორნის ხარჯები	69,524	844
მუზეუმის ხარჯები	28,362	280
სატრანსპორტო ხარჯები	66,233	6,379
უცხოელი ბიზნეს პარტნიორების ხარჯები	4,935	-
სხვა ტურისტული ხარჯები	86,445	-
სულ თვითღირებულება	762,561	32,179

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2021	2020
შრომის ანაზღაურება	219,385	338,080
მივლინების ხარჯები	2,077	1,932
ცვეთა და ამორტიზაცია	24,491	30,480
რეკლამის ხარჯები	-	9,540
იჯარა	-	6,714
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	4,052	2,965
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	250,005	389,711

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2021	2020
ბანკის საკომისიო	2,565	2,023
ქველმოქმედება	-	3,500
სხვა საოპერაციო ხარჯები	44,387	10,998
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	46,952	16,521

7. მოგების გადასახადი

2021 წელს კომპანიამ გასცა 0 ლარის დივიდენდი (2020: 70,187 ლარი), რომელზეც დაერიცხა 0 ლარის მოგების გადასახადი (2020: 12,386 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	104,127	187,812	40,965	369,594	702,498
შემოსვლა	-	-	16,162	304,205	320,367
გასვლა	-	(10,070)	(42)	-	(10,112)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	104,127	177,742	57,085	673,799	1,012,753
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	104,127	177,742	57,085	673,799	1,012,753
შემოსვლა	-	534	-	32,277	32,811
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	104,127	178,276	57,085	706,076	1,045,564
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	-	(70,002)	(15,792)	-	(85,794)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(22,902)	(7,578)	-	(30,480)
გასვლა	-	6,770	-	-	(32,554)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	(86,134)	(23,370)	-	(109,504)
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	-	(86,134)	(23,370)	-	(109,504)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(18,428)	(6,062)	-	(24,490)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(104,562)	(29,432)	-	(133,994)
საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბერს	104,127	91,608	33,715	673,799	903,249
2021 წლის 31 დეკემბერს	104,127	73,714	27,653	706,076	911,570

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელი მშენებლობა, ღირებულებით 706,076 ლარი (2020: 673,799 ლარი) და მიწის ნაკვეთები, ღირებულებით 55,576 ლარი (2020: 55,576 ლარი), წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფას (შენიშვნა 11).

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	2021	2020
ნაშთი ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	347	1,703
ნაშთი ბანკში, უცხოურ ვალუტაში	57,204	277,281
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,551	278,984

10. საგადასახადო აქტივები

ვინაიდან კომპანიის მიერ დაგენერირებული შემოსავალი ძირითადად დღგ-სგან ჩათვლის უფლებითაა განთავისუფლებული, ხდება გადახდილი დღგ-ების დაგროვება ზედმეტობაში, რითიც სხვა გადასახადების (საშემოსავლო, ქონება, მოგება, დივიდენდი) გადახდა ხორციელდება. 2021 წლის ბოლოს, ჩათვლილი დღგ-ის ზედმეტობის ნაშთმა შეადგინა 28,360 ლარი (2020: 28,062 ლარი).

11. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განხილულია ინფორმაცია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

ლარი	2021	2020
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	396,873	528,757
	396,873	528,757
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	63,636	17,910
	63,636	17,910
სულ სესხები და კრედიტები	460,509	546,667

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაუმთავრებელი მშენებლობითა და მიწის ნაკვეთებით (შენიშვნა 8).

სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	ევრო	5.50%	2031	460,509	460,509	546,667	546,667
სულ პროცენტური ვალდებულებები				460,509	460,509	546,667	546,667

ვალდებულებების მოძრაობისა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	546,667	546,667
ნასესხები სახსრების დაფარვა	(16,916)	(16,916)
საპროცენტო ხარჯი	40,405	40,405
გადახდილი პროცენტი	(40,405)	(40,405)
საკურსო მოგება	(69,242)	(69,242)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	460,509	460,509

ლარი	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	450,164	450,164
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	-	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(9,203)	(9,203)
საპროცენტო ხარჯი	15,840	15,840
გადახდილი პროცენტი	(15,840)	(15,840)
საკურსო ზარალი	105,706	105,706
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	546,667	546,667

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და 2018 წელს შესყიდული ავტობუსის თანხას. 2018 წელს კომპანიამ შეიძინა ავტობუსი 47,634 ლარის ექვივალენტად. აქედან კომპანიის დირექტორმა თავისი პირადი ფული დაამატა 23,579 ლარის ოდენობით და შემოიტანა საწესდებო კაპიტალში. 2021 წელს, კომპანიის დირექტორმა კაპიტალიდან უკან გამოიტანა 22,074 ლარი.


ლარი	2021	2020
სადამფუძნებლო საწესდებო კაპიტალი	300	300
ავტობუსის ყიდვისას დამატებული საწესდებო კაპიტალი	1,505	23,579
სულ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,805	23,879

2021 წელს კომპანიის 100%-იან მეწილეზე გამოცხადდა და გადახდილი იქნა დივიდენდები 0 ლარის (2020: 70,187 ლარი) ოდენობით.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან


კომპანიის 100%-იანი მეწილე და აღმასრულებელი დირექტორი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მანანა ცირამუა. 2021 და 2020 წლის განმავლობაში მასზე გაცემული დივიდენდის ოდენობა მოცემულია შენიშვნა 12-ში.

1-14 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



მანანა ცირამუა
გენერალური დირექტორი





საბა გეგაძე
ფინანსური დირექტორი